საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2135
31/05/2022

2135-21-2-202205311230

შპს „ნიუ ტრანს როუდს“

მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ჟვანიას ქ. N10

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №9611 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილი განთავსებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (GPS კოორდინატები X - 290023,11; Y - 4668487,89). შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „საწარმოს წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ჩამდინარე წყლების არინების“ თავში აღნიშნულია, რომ ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება, ვინაიდან ფუნქციონირებს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, ხოლო ამავე თავში მითითებულია, რომ „საწარმოს ექსპლუატაციის დროს წყალჩაშვება წლის განმავლობაში იქნება 198400 მ^3“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საწარმოს ფუნქციონირების პროცესში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზი 500 მეტრიან რადიუსში;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული სამსხვრევი დანადგარის შემადგენლობაში შედის ზეთის რეზერვუარები, თუმცა, დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია აღნიშნული რეზერვუარების შესახებ, შესაბამის გენ-გეგმაზე დატანით. აგრეთვე, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ავარიულად დაღვრილი ზეთების შემდგომი მართვის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო